

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №209

2007 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლების მინისტრის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის გამო და მათი მოქმედების მიზანშეუწონლობიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო სახელოვნებო სკოლის ტიპური დებულების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 20 მარტის №31 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №24, მუხ. 222);

ბ) „სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებების მიკუთვნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 1999 წლის 3 მაისის №128 ბრძანება;

გ) „სახელოვნებო განათლების საბაზო, საშუალო სკოლებისა და საშუალო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგიური კადრების ატესტაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 24 აპრილის №66 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №38, მუხ. 347);

დ) „საგნობრივი ოლიმპიადების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 20 თებერვლის №15 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №15, მუხ. 147);

ე) „სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ფორმების ნიმუშებისა და მათი შევსებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 15 ივლისის №137 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №76, მუხ. 691);

ვ) „სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 4 აპრილის №54 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №36, მუხ. 317);

ზ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 3 ოქტომბრის №206 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №117, მუხ. 966);

თ) „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ატესტაციის კრიტერიუმებისა და წესის შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 21 მაისის №91 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №48, მუხ. 450);

ი) „სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპური დებულების დამტკიცებისა და თანმდევ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 25 თებერვლის №16 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №15, მუხ. 148);

კ) „კერძო საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული დაწესებულების ლიცენზიის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2000 წლის 14 თებერვლის №34 ბრძანება (სსმ III, 2000 წ., №17, მუხ. 151).

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ლომია